№ 190 მთავრობის ორგანო ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, აგვისტოს 24 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ან 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

განცხადება.

სამთო-მადნო სამმართველომ ჩაიბარა ძირულაში ყოფილი საზოგ. შრომის ქარხნები, **მზადდება ცეცხლგამძლე აგური, თიხა და მინერალური საღებავები. მიიღება დაკვეთა.**

სახელმწიფო დაწესებულებას აგრეთვე კერძო პირთ დაკვეთის შესახებ და ყოველივე ცნობების მისაღებად ძველი დაკვეთილი მასალების შესახებ შეუძლიანთ მიმართონ, როგორც ადგილობრივ ძირულაში ქარხნის გამგეს ინჟ. გიჟიმყრელს, აგრეთვე სამთო-მადნო სამმართველოს. (პეტრე-დიდის ქუჩა № 10), ტელეფონი 2—44).

853 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

მთავრობის განკარგულებისათვის 20.000.000 მან. გადადებისა ნავთისა და ნავთის პროდუქტის შესაძენად.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებისათვის ოცი მილიონი (20.000.000) მანეთი ნავთისა და ნავთის პროდუქტის შესაძენად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

დამფუძნებელი კრების დროებით შეწყვეტისა.

1. დამფუძნებელი კრების მოქმედება დროებით შეწყვეტილ იქნეს ამა აგვისტოს 17-დან.

2. დამფუძნებელი კრების შემდეგი პირველი სხდომა დანიშნულ იქნეს პარასკევს, ამა წლის ოქტომბრის 15-ს, შუადღის 12 საათზე.

3. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს უფლება მიეცეს,—რომლისამე განსაკუთრებული გარემოების გამო,—თუ საჭიროდ სცნობს, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება მოქმედებისათვის მეორე მუხლში აღნიშნული ვადის გასვლამდისაც.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

მთავრობის სტამბის შესაკეთებლად 392.747 მ. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო საზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამას ოთხმოცდა თორმეტი ათას შვიდას ორმოცდა შვიდი (392.747) მანეთი მთავრობის სტამბის შესაკეთებლად.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

სოციალი დახმარების დროებითი წესის 1,4 და 6 მუხლის შეცვლისა.

1. სოციალი დახმარების დროებითი წესის 1 მუხლის შენიშვნის ლიტერ. ბ-ს ბოლოს დაემატოს სიტყვები:

აგრეთვე ამ წლისაზე უფროსებს, თუ ისინი შრომის უნარს სრულებით მოკლებულ არიან:

ამავე შენიშვნას დაემატოს ლიტერი: გ) და მათ მშობლებს.

2. მე-4-ე მუხლი დროებითი წესისა შეიცვალოს შემდეგნაირად: დროგამოშვებითი შემწეობის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ შემთხვევისათვის ცალკე, გარემოებისა და მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო უმცროს მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის ნახევრისა, რომელიც არსებობს რესპუბლიკაში და რომელსაც შრომის სამინისტრო აწესებს განსაზღვრული ვადით.

მე-4-ე მუხლის შენიშვნა შეიცვალოს შემდეგნაირად: ინვალიდებს, რომელსაც ესჭიროებათ მოვლა, შეიძლება მიეცეს ამ მუხლში აღნიშნული საშუალო ხელფასის ორ მესამედამდე (⅔)-მდე.

3. მე-6-ე მუხლი დროებითი წესისა შეიცვალოს შემდეგნაირად: ერთდროული შემწეობა უნდა მიეცეს არა უმეტეს სამი თვის დახმარებისა და არა უმეტეს ორი ჯერისა წელიწადში.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

დასახიჩრებულ მუშა - მოსამსახურეთა პენსიის რაოდენობის შეცვლისა სამუშაო ხელფასის ცვლილების მიხედვით.

1. დასახიჩრებულ მუშა - მოსამსახურეთა პენსია, დანიშნული დაშავების დროს მთვისებული ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით, თანახმად სამრეწველო შრომის წესდებისა (გამოც. 1913 წ.). გზათა უწყების წესდებისა, 1903 წ. 2 ივნისის კანონისა და აგრეთვე სამოქალაქო კანონთა კრებულის 683 და 684 მუხლებისა, უნდა იცვლებოდეს რესპუბლიკაში არსებული ხელფასის ცვლილებასთან შეფარდებით, თუ შეიცვალა საშუალო რაოდენობა ჯამაგირისა, რომელიც მითვისებული აქვს დაშავებულის პროფესიას ან თანამდებობას.

2. ცნობებს რესპუბლიკაში არსებულ სხვა და სხვა პროცესიისა და თანამდებობისათვის დაწესებული საშუალო ხელფასის ცვლილებისას და აგრეთვე მათი დაწესების დროისას აქვეყნებს შრომის სამინისტრო; აღნიშნული ცნობები სავალდებულო არის 1-ლ მუხლში ნაჩვენები კანონების განხორციელების დროს:

შენიშვნა: უქმდება ამ დეკრეტის პირველ მუხლში ნაჩვენები კანონებით დაწესებული ხელფასის დღიური რაოდენობა, რომლის ზევით პენსია არ ენიშნება. შრომის სამინისტრო პერიოდიულათ აწესებს მას რესპუბლიკაში ხელფასის საერთო ცვლილების მიხედვით.

3. ამ დეკრეტის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე იმ დასახიჩრებულებზედაც, რომელთაც პენსია დაენიშნათ ამ დეკრეტის გამოცხადებამდე.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

დასავლეთ ევროპას გასაგზავნ საქართველოს მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის 8.000.000 მან. გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებისათვის რვა მილიონი (8.000.000.000) მან. დასავლეთ ევროპას გასაგზავნ საქართველოს მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 13-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

სამხედრო სავაჭმყოფოების ქალაქისა და ერობის თვითმმართველობათათვის გადაცემისა.

1. რესპუბლიკაში არსებული სამხედრო უწყების-ყველა საავადმყოფოები მთელი ინვენტარით გადაეცეს სათანადო ერობებს და ქალაქის თვითმმართველობებს.

2. ზემოხსენებულ საავადმყოფოებში სამხედრო უწყებას დაეთმოს ათას ორასი (1.200) საწოლი, შემდეგი განაწილებით:

1. ტფილისში—ოთხასი (400) საწოლი.
2. ქუთაისში—სამასი (300) საწოლი.
3. სოხუმში—ოთხმოცი (80) საწოლი.
4. სურამში—ოთხმოცი (80) საწოლი.
5. ფოთში—სამოცი—(60) საწოლი.
6. ოზურგეთში—ოცდა ათი (30) საწოლი.
7. ახალციხეში—სამოცდა ათი (70) საწ.
8. ახალქალაქში—სამოცდა ათი (70) საწ.
9. დუშეთში—ოცი (20) საწოლი.
10. თელავში—ორმოცი (40) საწოლი.
11. ბათომში—ორმოცდა ათი (50) საწოლი.

3. სამხედრო უწყების ავადმყოფების შესანახად გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის თითო ავადმყოფისთვის დღეში ორას-ათი (210) მანეთი, ხოლო ყოველწლიურად ოთხმოცდა თერთმეტი მილიონი ცხრაას ოთხმოცი ათასი (91.980.000) მანეთი.

შენიშვნა: მესამე მუხლში აღნიშნულ თანხაში არ შედის ავადმყოფის საავადმყოფოში მისაყვანი ან მისი ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადასაყვანად საჭირო ხარჯი.

4. დახურულ იქნეს ყველა ის კრედიტი რომელიც გახსნილი აქვს სამხედრო უწყებას ზემოხსენებულ საავადმყოფოთა შესანახად.

5. სამხედრო საავადმყოფოთა ერობისა და ქალაქის თვითმმართველობისათვის გადაცემის საქმის მოწესრიგება დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

ქ. ახალციხის წყალსადენის აღსადგენად 900.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ცხრაასი ათასი (900.000) მანეთი ქ. ახალციხის წყალსადენის აღსადგენად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა გადაეცეს ახალციხის მაზრის ერობას, რომელსაც დაევალოს წყალსადენის აღსადგენად საჭირო მუშაობის შესრულება მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა განყოფილების ზედამხედველობით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

დეკრეტი

რესპუბლიკის რკინის გზების ტარიფის გადიდებისა

1917 წ. ივნისის 10-მდე არსებული სამგზავრო და ტვირით ის გადასაზიდავი ტარიფი გადიდებულ იქნეს შემდეგნაირად.

1. სამგზავრო მიმოსვლა 100 ჯერ.

2. ბარგისა და დიდი სისწრაფით გადასაზიდავი საქონლისა 150-ჯერ.

3. მცირე სისწრაფით გადასაზიდავი საქონლისა 150-ჯერ.

შენიშვნა: სამგზავრო ბილეთების ფასისა და საბარგო სატვირთო საბუთების საბოლოო ჯამის მანეთები ერთიდან ოთხამდე ნაანგარიშევი იქნეს ხუთ (5) მანეთად.

4. მცირე სისწრაფით გადასაზიდავი ტარიფი: წყლისა და ყინულისა (ჯგ. 18), შეშის (ჯგ. 31) მიწისა (ჯგ. 38), ქვისა (ჯგ. 41), თივისა და ბზისა (ჯგ. 109) გადიდებული იქმნას 100 ჯერ.

5. გამოუხდელი ნავთი, ნავთის ნახადის ნაშთი და სხ. მეორე კატეგორიის საქონელი იზიდებოდეს დიფერენციალით № 18 150 როგორც გაწმენდილი ნავთი, ბენზინი და სხვ. პირველი კატეგორიის საქონელი.

6. ზემო მუხლებში მოხსენებულ ტარიფს კახეთის რკინის გზაზე დაემატოს კიდევ 20%.

7. საფუთო გადასახადის აკრეფის აწინდელი წესი დარჩეს უცვლელად და ამ დეკრეტით მიღებული ტარიფის გადიდება არ იქნეს გავრცელებული საფუთო გადასახადის რაოდენობაზე.

8. ამ დეკრეტით შემოღებული ახალი ტარიფი გავრცელდეს მხოლოდ ადგილობრივ მიმოსვლასა და ტვირთის გადაზიდვაზე.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების შენობის შეკეთება.

განზრახულია ახლო მომავალში შეუდგენ დამფუძნებელ კრების შენობის შეკეთებას. შეაკეთებენ ყველა ფრაქციის ოთახებს, კანცელარიას, სხვა და სხვა კომისიის ოთახებს, და პრეზიდიუმის ბინას. ნაწილობრივ შეაკეთებენ აგრეთვე თეთრ დარბაზსაც.

საპენსიო წესდება.

აგვისტოს 18 მოხდა პირველი სხდომა დამფუძნებელ კრების საპენსიო კომისიისა, რომელსაც ყველა უწყებისათვის საპენსიო წესდების შემუშავება დაევალა. კომისიის თავმჯდომარედ ასათიანი აირჩიეს, ამხანაგად გურული. პრეზიდიუმის პირველ სხდომას დაევალა შეკრიბოს მასალები საპენსიო წესდების შესახებ. მასალების შეკრების შემდეგ კომისია შეუდგება წესდების განხილვას.

ე. პ. გეგეჭკორის ბიუსტი.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ აცნობა პრეზიდიუმს, რომ სკაბიჩევმა

შესწირა დამფუძნებელ კრებას საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის ბიუსტი. ეს ბიუსტი გადატანილ იქნება დამფუძნებელ კრების ერთ თვალსაჩინო ადგილზე.

ლიტვის კონსული.

ბაქოდან დაბრუნდა ლიტვის კონსული.

აზერბაიჯანში.

ხომხედრო პირთა რეგისტრაცია.

ბაქოს კომენდანტმა გასცა ბრძანება რომ ყველა ყოფილი ოფიცერის და ვახმისტრების რეგისტრაცია მოახდინონ.

ტრიბუნალის მოქმედება.

უმაღლესმა ტრიბუნალმა დახვრეტა გადაუწყვიტა შემდეგ პირებს: 1) მ ხეილ ოსიპოვს 13 წლის ქალწულის გაუპატიურებისათვის და 2) ანატოლ შახ-პარიანცს რომელიც უნებართვოთ დადიოდა სახლებში და სხვა და სხვა სავნების რეკვიზიციას ახდენდა.

უირიმში.

საბჭოთა ფულის აკრძალვა უირიმში.

გენერალ ვრანგელმა გასცა ბრძანება რომ მის არმიის ნაწილებში არ მიიღონ საბჭოთა ფული და არც თვით აძლევონ მცხოვრებლებს. საბჭოთა ფული უნდა შეტანილ იქნას ხაზინებში.

მიწის რეფორმა უირიმში.

სიმფეროპოლიდან წავიდნენ ორმოცზე მეტი მიწის-მზომელნი აგრარულ რეფორმის დასამთავრებლად.

ოსმალეთში.

ნიკომილის რაიონის დარბევა.

პარიზის სოხეთის დელეგაცია კონსტანტინოპოლის პატრიარქს აცნობებს რომ მათ უკვე აცნობეს მოკავშირეებს» გეივის, არხისარის და ნიკომიდის რაიონის სომეხთა მცხოვრებთა დარბევა ოსმალოების მიერ. მოკავშირეებმა ბაამის შესახებ დახმარება აღუთქვას სომხებს.

დამრბევთა დატუსაღება.

„კონსტანტინოპოლში დაატუსაღეს სომხეთა ეპისკოპოს სემბატ საადეტიანის ვიკარო, მუსტაფი, სომხეთის დამრბევთა ხელმძღვანელი და ოსმალეთის პარლამენტის წევრი მახმედ ნური.

თურქესტანში.

საბჭოთა რუსეთის მოქმედება თურქესტანში.

ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვიდან თურქესტანში გავიდა საგანგებო მატარებელი „წითელი აღმოსავლეთი“. საბჭოთა რუსეთი აუარებელ ფულებს ხარჯავს თურქესტანის „განათლებისთვის“ მათ გადააქვთ სამკითხველოები, წიგნები, ჰკითხულობენ ლექციებს, ბეჭდავენ ბროშიურებს, ერთი სიტყვით, ინტენსიურად მუშაობენ და დიდ აგიტაციას ეწევიან ტურქესტანში.

ტრაპეზუნდში.

ოსმალეთის ხელისუფალთა მოქმედება.

ოსმალეთის ხელის უფალნი ტრაპეზუნდში რუსეთის დარჩენილ ქონების კონფისკაციას ახდენენ. რუსების მიერ დარჩენილი ქონება რამდენიმე მილიარდს ღირს.

სომხეთში

სომხეთის სოც. დემოკრატ. პარტიის მოწოდება.

სომხეთის სოც.-დემ. პარტიამ საერთაშორისო სოც.-დემოკრატიას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც იგი იუწყება: „საბჭოთა რუსეთმა ადერბეიჯანის თათრებსა და ოსმალეთის ნაციონალისტებთან შეთანხმებით სომხეთს მტრულათ განწყობილი ძალები გარს შემოერტყა და მას დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსპობით ემუქრება. ბოლშევიკებმა დაივიწყეს მათ მიერ აღიარებული წმინდა ლოზუნგები და უნდა გზა გაიკეთონ აღმოსავლეთისაკენ სომხეთის დემოკრატიის გვამებზე გადავლით. ბოლშევიკებს უნდათ სომხეთის ხალხი გამოიყენონ აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის საწინააღმდეგო ბრძოლაში. საბჭოთა რუსეთი აგვიანებს სომხეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას და იმავე დროს საბჭოთა ჯარები ასკერებსა და თათრებთან შეთანხმებით იჭრებიან სომხეთის ტერიტორიაში. სომხეთის ხალხი მთელი კულტურული ქვეყნის წინაშე აცხადებს იმ საარაკო ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც მათ წინააღმდეგ მიმართავენ ბოლშევიკები. ბოლშევიკები დიდი მოხერხებით მალავენ ევროპის პროლეტარიატთან თავის ბოროტ-განზრახვებს.

ბალშევიკები თხოულობენ. რომ ევროპის პროლეტარიატმა მიუსაჯოს შესაფერი სასჯელი იმპერიალისტებს და თვით კი სჩაგრავენ სუსტ ერებს და დაუნდობლად ანადგურებენ მათ. სოძხ. სოც.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს ენერგიულ პროტესტს საბჭოთა რუსეთის საარაკო ძალმომრეობის წინააღმდეგ და სთხოვს ევროპის დემოკრატიას გაუწიოს მას მორალური დახმარება დამოუკიდებლობის დაცვაში. სომხეთის სოც.-დემ. პარტია სთხოვს მთელ განათლებულ ქვეყნებს დაჰგმონ ბალშევიკების ასეთი ძალმომრეობა.

ამერიკიდან

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

გერმანიის ფლოტის დანაწილება.

„ტაიმსი“ იუწყება: თავდება გერმანიის ყოფილი ფლოტის დანაწილება. შეერთებულ შტატების და საფრანგეთის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდება. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დანარჩენი სახელმწიფოებიც დაკმაყოფილებული იქნებიან. დიდ გემთა რიცხვში 24 დიდი სამხედრო გემია, რომელთა უდიდესი ნაწილი, გაზეთის ფიქრით, რათაც არ უნდა დაჯდეს ინგლისს უნდა ერგოს.

საფრანგეთის ზარალი

საფრანგეთის დანგრეულ რაიონების აღმდგენელ კომისიის თავმჯდომარე დიბუა, გაზ. „ტაიმსის“ ცნობით, საფრანგეთის ზარალს თანამედროვე ვალიუტით 284 მილ. ფრანკით განსაზღვრავს.

„ტაიმსი“ კერზონის შესახებ.

„ტაიმსი“ ჰკიცხავს ლორდ კერზონს არაბებისადმი უსამართლოდ მოქცევის გამო. ლორდ კერზონმა არაბების თვითგამორკვევის უფლება იცნო. ამავე დროს მას სახეში ჰქონდა მესოპოტამიის არაბები, პალესტინის არაბებს კი კერზონმა ისეთი ერი უწოდა, რომელსაც არ შეუძლია პროგრესის გზას დაადგეს და ამის გამო თვითგამორკვევის უფლებაზე ლაპარაკი უთხრა. კერზონს, აღნიშნავს გაზეთი, როგორც სჩანს ეშინია, პალესტინაში არაბები ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრებენო. კერზონი ფიქრობს, რომ დიდ საოკუპაციო ჯარი პალესტინაში ავტონომიას სჯობიანო.

მე-11 ლაშქრის „საგმირო საქმენი“.

აგვისტოს 20. მე-11 ლაშქრის მიმართ გამოცემულ შემდეგი ბრძანება: აჯანყებულთა პარტიზანული მოქმედება მძიმედ და დამღუპველად მოქმედებს ჩვენი ჯარის ნაწილებზე. ხშირია წითელ არმიელთა მონაწილეობა სპეკულიაციასა და ძარცვა გლეჯაში. ანგრევენ მაჰმადიანთა მეჩეთებსა და მათ წმინდა ადგილებს. წითელ არმიელთა ჯარების უფროსები და კომისრები ძალიან გაიტაცა აჯანყებულთა წინააღმდეგ შურის ძიებამ და ისინი ბრძოლას ნაციონალურ, ან სარწმუნოებრივ ხასიათს აძლევენ. მაგალითად, წითელ არმიელები დიდი სიამოვნებით იყენებენ სომხების დახმარებას თათრების დასარბევად, თუმცა ცნობილია, რომ სომხები ეროვნული შურის ძიების მიხედვით მოქმედობენ. არის ისეთის შემთხვევები, როდესაც არ ღებულობენ თათრების სოფლების აკლების წინააღმდეგ სათანადო ზომებს. წითელ არმიელთა ამგვარ მოქმედებას საპრავაკაციოთ იყენებენ. ამგვარ პირობებში ბეგებისა და ხანების აგიტაციას გასავალი ექნება და ჩვენ წინააღმდეგ ომი ნაციონალური და რელიგიური ხაზით მოინათლება. საბჭოთა ჯარის სამხედრო სარევოლიუციო საბჭო მოითხოვს წითელ არმიელებისაგან თავდაჭერილებას და რელიგიისადმი პატივისცემის გრძნობის გამოჩენას. უნდა ერიდოთ ზედმეტს სისასტიკესა და ამა, თუ იმ ერის გამოსარჩლებას. სამხედრო რევოლიუციონური საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთის მუშები და გლეხები თავის მიზნებს აღმოსავლეთში პირნათლად შეასრულებენ ბრძანებას ხელს აწერს ლევანდოვსკი და სამხედრო სარეგ. საბჭოს წევრი ვესტნიკოვი.

(გაზეთებიდან)

დანიის პარლამენტის არჩევნები.

დანიის პარლამენტის არჩევნები დასრულდა ივლისის გასულს. პარლამენტში ადგილები მიიღეს ამნაირად: ლიბერალებმა—52 ადგილი. სოციალისტებმა—42; კონსერვატორებმა—26; რადიკალებმა—16; ვაჭარ-მრეწველთა პარტიამ—4.

იტალიის საერთაშორისო შრომის კონფერენცია.

გენუაში დანიშნული საერთაშორისო შრომის კონფერენციაზე იტალიის პროლეტარიატმა მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რადგან ამავე კონფერენციაზე ანარქიული ელემენტებიც ყოფილან მიწვეული.

ლორდ კერზონი ხალხთა ლიგის შესახებ.

თემთა პალატაში ლორდ კერზონმა ხალხთა ლიგის შესახებ შემდეგი განაცხადა: ჩემის აზრით, ხალხთა ლიგის საბჭო უნდა შესდგეს მაშინ, როდესაც უმაღლესი საბჭო გადასწყვეტავს საბოლოოდ თავის საქმეებს. ხალხთა ლიგის საბჭო თავის მოქმედებას დაიწყებს მხოლოდ კონფერენციის დასრულების შემდეგ, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრები და წარმომადგენლები განთავისუფლდებიან თავიანთ ქვეყნის დაკისრებულ საქმეებიდან. ძალიან კარგი იქნება, რომ ხალხთა ლიგის საბჭო თავის სამუშაოს ადგილად ქალაქ ჟენევას ამოირჩევდეს, სადაც იგი შესძლებს ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას. მე მრწამს რომ ხალხთა ლიგის საბჭო ბევრ კარგ რამეს გააკეთებს და მისი მომავალიც დიდ მნიშვნელოვნად, ნათლად და მარტივად მესახებაო—დააბოლოვა კერზონმა თავის სიტყვა.

კრასინი უკრაინის შესახებ.

პარიზში კრასინს გაზეთ „ლიბერტე“-ს ინტერვიუში განუცხადებია, რომ საბჭოთა რუსეთი თანახმაა უკრაინიდან თავისი ჯარი გაიყვანოს იმ შემთხვევაში თუ უკრაინის ხალხი თავის ნების-ყოფას გამოსთქვამს პლებისციტის საშუალებითო.

საბჭოთა რუსეთის მუშათა ხელფასის ახალი ტარიფი.

ხარკოვში შრომის ნარკომმა მუშათა ხელფასის ახალი ტარიფი დაამტკიცა. დაბალ მრეწველობის მომუშავეებს ემატებად ჯამაგირი 70%, 80%: მაღალში—100%. მომუშავენი დაყოფილნი არიან 5 კატეგორიათ. მაქსიმალური ჯამაგირი არის 9880 მანეთი, მინიმალური 7160 მან.

ახალი ამბები

ჰაეროპლანები საქართველოსთვის. თანახმად სამხედრო საინჟენერო უწყების ცნობისა იტალიაში საქართველოს საჭიროებისათვის რამოდენიმე ჰაეროპლანი შეუსყიდნიათ. ეს მანქანები გამოჩენილ ანსალღოს ქარხანაში შეუძენიათ. ეს ქარხანა ამ ჟამად მთელ მსოფლიოში საფრენ მანქანების დამამზადებელ საუკეთესო ქარხანად ითვლები. საქართველოს მთავრობის მიერ შეძენილი ჰაეროპლანები ტეხნიკის უკანასკნელს სიტყვას წარმოადგენს. ჰაეროპლანის სიჩქარე საათში 220 კილომეტრს უდრის. ყოველ მათგანს აქვს რადიოსადგური, ფოტოგრაფიულ მოწყობილობით და სხ. აპარატებს საუკეთესო მოტორები აქვს. სხვათა შორის იუწყებიან: ვინაიდან გზაში არ არსებობს საავიაციო ბაზები, მაჭავარიანის ტურინიდან საქართველოში ჰაეროპლანით გადმოფრენის განზრახვა შემდეგისათვის გადაიდო.

აკ. ჩხენკელი ბორჯომში. 23 აგვ. დილის მატარებლით ბორჯომში ჩამოვიდა აკ. ჩხენკელი, რომელიც ამასთუმანში გაემგზავრა.

წვრილი საერობო კურსები. ერობათა კავშირის გამგეობამ დაადგინა: გახსნას კურსები წვრილ საერობო ერთეულების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. ამ კურსების მოწყობის საკითხის განსახილველად საგანგებო კომისია იქნება მოწვეული. სხდომას, რომელიც აგვისტოს 28 შესდგება დაესწრებიან: ნ. ელიავა, კონიაშვილი, მალანია, ს. ავალიანი და გრ. გველესიანი.

ბაზრის ფასები. თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატის ცნობებისა, ამ ჟამად ბაზარზე შემდეგი ფასები არის: გირვანქა კარაქი 280 მან., გადამდნარი ერბო—300 მან., გირვანქა ყველი—120—140 მან., ათი კვერცხი—110 მან., თეთრი პურის ფქვილი—3600 მან., ადგილობრივი ფქვილი—1800 მ., სიმინდის ფქვილი—1500 მან., ფუთი პურის ხორბალი—1300 მან., სიმინდი—1200 მან., ლობიო—700 მ., შაქარი—7600—8000 მან.

სოციალური დახმარება. სოციალურ დახმარების განყოფილებამ აცნობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იგი აღნიშნულ ორგანიზაციებიდან ხშირად იღებს შუამდგომლობას ამა თუ იმ პიროვნებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. განყოფილება აცხადებს, რომ შრომის სამინისტროში თხოვრების მიღება შეწყვეტილია. თხოვნები მომავალში უნდა გადაეცეს, თანახმად მთხოვნელის ბინადრობისა, ან ქალაქის და ან ერობის თვითმართველობას. იმ თხოვნებს, რომლებსაც პირდაპირ შრომის სამინისტროში შეიტანენ, არ განიხილავენ.

ბორჯომის წყლის ხაზღვარგარედ გატანა. მიწათ-მოქმედების სამინისტ. კონტრაგენტმა სტამბოლში ბორჯომის წყლის განყოფილება გახსნა. ასეთივე განყოფილება იხსნება ნიუ-იორკში. განხრახულია ავრეთვე განყოფილებათა გახსნა ლონდონსა და სხვა ქალაქებში. აგვისტოს 19, 30,000 ბოთლი ბორჯომის წყალი გაიგზავნა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა ბათომში. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაადგინა გახსნას ბათომში თავისი განყოფილება. ამ მიზნით განზრახულია ბათომში ჯერ კიდევ ინგლისელების დროს არსებული ბათომის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გადაკეთება.

საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლათ საბჭოთა რუსეთში ინიშნება დამფუძნებელი კრების წევრი გერასიმე მახარაძე.

ქართველები ჩრდილო-კავკასიაში.

აგვისტოს 5 მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლების კონფერენცია. დაესწრო მემდგეგი ქალაქების ქართველ მოსახლეობის წარმომადგენლები- სოჭის, ტუაპსის, ნოვოროსისკის, ეკატერინოდარის, რომანოვის ხუტორის, სტავროპოლის, მაიკოპის, არმავირის და ლაბინსკაიასი. კონფერენცია არმავირში მოიწვიეს. ამ კონფერენციაზე აირჩიეს დელეგატი, რომელსაც დაევალა აცნობოს რესპუბლიკის მთავრობას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქართველები ჩრდილოეთ-კავკასიაში. ამავე დროს კონფერენცია შეამდგომლობს ჩრდილოეთ კავკასიისათვის რესპუბლიკის ელჩის დანიშვნისა და ქართველების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა ანგარიშს არ უწევს რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებას. ქართველი მოქალაქეები ბოლშევიკებისაგან შევიწროებას განიცდიან რუს მოქალაქეებთან ერთად. მათ ანთავისუფლებენ სხვა და სხვა ვალდებულებათაგან, ქართველების მობილიზაციით გამოწვევის წინააღმდეგ გამოცხადებული პროექტი უშედეგოდ რჩება. ქართველებს მობილიზაციით იწვევენ იმ გვარივე წესით, როგორც სომხებს და ლიტველებს. უცხოეთის ქვეშევრდომთა დასაცავად ეწყობოდა კონსულთა საბჭო, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იგი დახურა. სულ კონფერენციაზე წარმომადგენელი იყო 20 ათასი ქართველი. დანარჩენ 5000 ქართველ მცხოვრებთა წარმომადგენელს არ ჰქონდათ საშუალება დასწრებოდენ კონფერენციას სხვა და სხვა მიზების გამო. ჩრდილოეთ კავკასიიდან, და კერძოდ, ყუბანიდან კონფერენციაზე დასწრება ძალიან გაძნელებული იყო, ქართველებს საზღვრებზე კვირაობით აკავებდენ. ეკატერინოდარის ჩრეზვიჩაიკას არც კავკავის ჩრეზვიჩაიკა ჩამორჩება. ჩრდილო-კავკასიიდან 20000 მან. მეტის წამოღება არ შეიძლება.

ერობა

სილნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მეორე ყრილობა.

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

გამგეობის წევრი დ. კარიჭაშვილის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა სამაზრო ერობის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტისა.

ხარჯთ-აღრიცხვის წაკითხვის შემდეგ განხილულ იქნა თხოვნები, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ბიუჯეტთან.

შემდეგ ყრილობამ დაადგინა:

1) „გადაიდოს 100,000 მან. სილნაღის 4 კლასიანი გიმნაზიის, ქვემო მაჩხაანის, ლაგოდეხის და სილნაღის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთა სასარგებლოდ და ეს თანხა შეტანილ იქნეს ხარჯთ-აღრიცხვაში ცალკე მუხლად, ხოლო ამ თანხის განაწილება აღნიშნულ სასწავლებელთა შორის მიენდოს საერობო გამგეობას“.

2) დეთმოს ახტალის საავადმყოფოში ყოველ წლიურად მთელი სეზონის განმავლობაში 4 ადგილი: ორი ჯარისკაცისათვის და 2 გვარდიელისათვის, წამლობის დროს მთელი ხარჯები მათთვის გაიღოს გამგეობამ.

3) მოვისმინეთ რა განცხადება მომარაგების სამინისტროს რწმუნებულისა და ვიღებთ მხედველობაში სახელმწიფოებრივ მოსაზრებებს და ერობის საბიუჯეტო ინტერესს ვავალებთ გამგეობას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სურსათის მომარაგების საქმეში და შექმნას ამ საქმისათვის შესაფერი აპარატი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით.

4) ყანდაურის გამოყოფის საკითხი კაკაბეთის თემიდან მოიხსნას დღიურ წესრიგიდან, ხოლო გამგეობას დაევალოს შეკრიბოს მასალები და დეტალურად შეისწავლოს საერთოდ თემთა ახალი გადამიჯვნის საკითხი მაზრაში და მოხსენება ამის შესახებ წარმოადგინოს შემდეგ ყრილობისათვის.

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის სახელით გ. ნაცვლიშვილი მოახსენებს ყრილობას, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვის დროს და მის შეფასებაში კომისია ვერ შეთანხმდა, ორი სხვა და სხვა აზრი იყო: უმრავლესობისა და უმცირესობისა.

კითხულობს კომისიის, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის მოხსენებას ბიუჯეტის შესახებ.

საერობო მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ ყრილობამ დაადგინა:

1) მიეცეთ საერობო მოსამსახურეთ სურსათით დახმარების სახით მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ფულად დამატება 50% თვიური ჯამაგირისა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც იღებენ თვიურად ჯამაგირს 3000 მან. და ნაკლებს, ხოლო 40% ჯამაგირისა იმ მოსამსახურეთ, რომელნიც იღებენ თვიურ ჯამაგირს 3000 მანეთზე მეტს.

2) ეს დახმარება ეძლევათ იმ დრომდის, ვიდრე მოსამსახურეებს ფაქტიურად მიეცემათ სურსათი.

3) დაუყონებლივ შეტანილ იქნას სამაზრო ერობის გამგეობის მიერ მომარაგების სამინისტროში თვითეულ მოსამსახურეზე 2000 მან. მოსამსახურეთა სურსათით მომარაგების ფონდში.

4) ეს დადგენილება ვრცელდება იმ მოსამსახურეზე, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან ერობის სამსახურში.

5) სახალხო მასწავლებლის ჯამაგირების დამატება ერობის მხრივ 1 ივლისიდან გაუდიდოს კიდევ 300 მან. თვითეულ ასწავლებელს. დაევალოს საერობო გამგეობას დაუყონებლივ მოაწყოს მოსამსახურეთა ადგილობრივ სურსათით დახმარება.

6) დღიურები საერობო მოსამსახურეთათვის სამსახურის საქმეების გამო მათ მოგზაურობის დროს მაზრაში განისაზღვრებოდეს ერთი დღის ჯამაგირის რაოდენობით ხოლო მაზრის გარეშე ერთი ორად.

ცოტა შესწორებით დამტკიცებულ იქნას გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლ.

გასავალი: შენახვა მილიციისა და სასამართლოს დაწესებულებათა ხარჯები 7,564,800 მან., შენახვა ერობის მართვ. 5,151,120 მ., შენახვა საპატ. ადგილდა 20,000 მან., გზათა აღმშენებლობა, ჰიდრო-ტეხნიკა და ტელეფონის ნაწილი 11,063,000 მან., სახალხო განათლება 11,465.160 მან., საზოგადოებრივ მზრუნვ. 300,000 მან., სახალხო ჯანმრთელობა 7,136,610 მან., სავეტერინარო დარგი 745,400 მან., ეკონომიური აღორძინების ღონისძიებანი 10,342,600 მან., ვალების გადახდა 3,000,000 მან., სხვა და სხვა გადასახადი 3,514,134 მან., გადარიცხვა თანხების შესადგენად 5,100,000 მან., საოადარიგო 3,597,170 მან. სულ 89,000,000 მან.

შემოსავალი: გადმორიცხვა თავისუფალი თანხა: ა) ნაღდი ფული; ბ) ნაშთი გადასახადი, რომელიც საიმედოთ ითვლება 3,495910 მან., საფონდო, საიჯარო და ერობის მამულებიდან 9,441702 მან., სხვა და სხვა ბაჟები 2,675000 მან., მთავრობის კრედიტი და ხარჯების ანაზღაურება 10,390636 მან., სხვა და სხვა შემოსავალი 5,2967912 მან,, გადასახადი სავაჭრო მოწმობებზე 1,000000 მან., გადასახადი უძრავ ქონებაზე 28,840 მან., უკანასკნელი სესხი 100 მილიონიან სესხად 9,000,000 მან. სულ 89000,000 მან.

დეპეშები

გერმანული პრესა.

ბრესტ-ლიტოვსკის ზღვა.

პოზენში მყოფ ამერიკის მისიას ვარშავიდან პოლონელების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის აღების შესახებ ატყობინებენ.

მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე.

პოლონელები ოფიციალურად იუწყებიან, რომ მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე ისევე გაუმჯობესდა, როგორც ვარშავა-ბრესტ-ლიტოვსკის ხაზზე, სადაც სედლეცი უკან დავიბრუნეთ. სამხრეთით პორონელებმა სოკელიბუსკი აიღეს და ბუდენნი ბუგს იქით გადარეკეს. იმის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ლემბერგის საშიშროება თავიდან აცილებულია.

ფრანგული პრესა.

ბოლშევიკის ჯარები.

პილისუდკის საუცხოვო რონინებამ ბოლშევიკების ჯარები, რომლებიც ვარშავასთან იმყოფებიან კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა

სედლეცის აღება.

პოლონელებმა სედლეცა აიღეს.

პოლონელები და ბოლშევიკები.

ვარშავასთან პოლონოლებმა დიდათ გაიმარჯვეს. ბოლშევიკური ჯარები სამი მხრით არიან გარშემორტყმულნი.

ვრანგელის მოქმედება.

თანახმად ოფიციალურ დეპეშისა ვრანგელის მოქმედება წარმატებით ვითარდება. მან ბოლშევიკები დნეპრის იქითა მხარეს გადარეკა.

მესოპოტამია.

ბერუთიდან იუწყებიან: მესპოტომიაში სიწყნარე არ არის. სპარსეთისაკენ მიმავალი რკინის გზა გაფუჭებულია.

ლ. ჯორჯი და ჯიოლეტი.

„პტი ჟურნალის“ ცნობით ლოიდ-ჯორჯი და ჯიოლეტი ერთმანეთი ლიუცერნში შაბათს შეხვდებიან.

ახალი სესხი.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი იუწყება, რომ ახალ 6%-იან სესხზე ხელის მოწერა ოქტომბრის 10-დან ნოემბერის 30-მდე დაიწყებაო.

მილერანის დეპეშა.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მილიერანმა პოლონეთში მყოფ საფრანგეთის მისიას შემდეგი ოფიციალური დეპეშა გაუგზავნა: რესპუბლიკის მთავრობა ულოცავს პოლონეთის იარაღის გამარჯვებას პოლონეთში მყოფ საფრანგეთის სამხედრო მისიას. მეორე მხრივ მილიერანმა ჟიუსერანს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მიულოცეთ მარშალ პილსუდსკის რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამარჯვება, სახელოვნოება, რომელიც პოლონეთის ჯარმა მოიპოვა. საფრანგეთი, რომელსაც ყოველთვის სწამდა პოლონელების პატრიოტიზმი, სიხარულით ეგებება ამ გამარჯვებას, რომელმაც გადაარჩინა პოლონეთი და რომელიც უზრუნველჰყოფს მისი ისტორიული დანიშნულებას.

ლიონის ცნობები

პოლონელების შეტევა

შუა ბუგზე. სამხედრო მოქმედებათა მთავარი ასპარეზია: პოლონეთის ჯარებმა, რომლებიც მიიწევენ წინ ივანგოროდიდან ბრესტლისტოვსკის მიმართულებით, შუა ბუგის ველს მიაღწიეს. უკანასკნელ დღეებში წამოყვანილ ტყვეების რიცხვი 19,000 აღწევს 2) ნარევზე: ამ ჟამად სამხედრო მოქმედება ნარევის და ბუგის შუა მომწყვდეულ სამკუთხედში ვითარდება. ვარშავასთან დამარცხებული ბოლშევიკების ჯარი ამ რაიონით იხევს უკან. როგორც სჩანს მიზანი პოლონეთის ჯარისა, რომელიც ოსტროლენკოსკენ მიიწევს, არის ბოლშევიკების ჯარის ცენტრის მოჭრა მარჯვენა ფრთიდან. ბოლშევიკებმა ვარშავასა და დანციგს შორის გზის გადასაჭრელად საგრძნობი ძალები გააგზავნეს. ეს ჯარები წინ შეეჩეხა პოლონეთის იმ ჯარის ნაწილებს, რომლებიც პოზნანში და პომერანიაში შესდგა და რომლებმაც შეაკავა ბოლშევიკების ჯარები პოლონეთის და პრუსიის შორის მდებარე ხაზზე; მეორე არმია მიემართება (გამოტოვებულია)[(დასაწყისი არ არის მიღებული) გაზეთებში ხშირად ვრცელდება ყალბი ხმები, რომელთა მიზანს შეადგენს მცხოვრებთა ამხედრება საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ფრანგფურტის გაზეთები ილაშქრებენ ამ საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ (გამოტოვებულია).

საადგილ-მამულო რეფორმა

ხაშურის რაიონის საფონდო მიწების განაწილების პროექტი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებას მოუვიდა დაწვრილებითი პროექტი საფონდო მიწების დანაწილებისა, შედგენილი ხაშურის სააგრარო კომისიის მიერ. კომისიას მიწების დანაწილების პროექტი შეუდგენია ოსიაურის სახოგადოების შემდეგი სოფლებისათვის: ოსიაური, სატივე, ზემოაგარა, აზარმეთი, ლუმბრუმა, ჭანკატაძეები და ახალსოფელისათვის. დასახელებულ სოფლებში განაწილებულია პირველი ხარისხის მიწა 135 დ. 1950 ოთხ. საჟ.; მეორე ხარისხის 420 დ. 1500 საჟ. პირველი კატეგორიის მიწა სამოსახლო შეფასებულია 600 მანეთად, სახნავი 5000 მანეთად დესეტინა, მეცხრე ხარისხის სახნავი 4000 მანეთად. საფონდო მიწებით დაკმაყოფილებულია 299 კომლი. საშუალო რიცხვით თვითეულ უმამულო ან მცირე მამულიან კომლს უწევს 1 ან 2 დესეტინა საფონდო მიწა. მთელი რაოდენობა საფონდო მიწებისა შეფასებულია კომისიის-გან 2.362.375 მანეთად. პროექტი მოხსენდა მოქ. მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგს, რომელმაც ის დაამტკიცა მიმდინარე წლის 21 აგვისტოს.

წინანდლის რაიონის საფონდო მიწების განაწილების პროექტი

თელავის სამაზრო ერობის გამგეობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმოუდგინა პროექტები საფონდო მიწების განაწილებისა წინანდლის რაიონის შემდეგ სოფლებში: სოფ. კონდოლში განაწილებულია 358 დ. 1440 ს. შეფასემული 7488558 მ. დაკმაყოფილებულია 316 კომლი. ქვემო ხოდაშენი განაწილებულია 316 დ. 650 ს. შეფასებული 452.364 მ. დაკმაყოფილებულია 204 კომლი წინანდალში განაწილებულია 442 დ. 1929 ს. შეფასებული 902.715 მ. დაკმაყოფილებულია 301 კომლი, ტოლნიანში განაწილებულია 3 დ. 1600 ს. შეფასებული 8.772 მ: დაკმაყოფილებულია 5 კომლი, კასისხევში განაწილებულია 98 დ. 1997 ს. შეფასებული 206.632 მ. დაკმაყოფილებულია 72 კომლი. სულ რაიონში განაწილებულია 1120 დ. 416. საჟ. შეფასებული 2.318.641 მან. დაკმაყოფილებულია 898 კომლი. მოჭალაქე მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგმა წარმოდგენილი პროექტები დაამტკიცა.

ჟუშათა ცხოვრება

სატარიფო ფალატაში.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოიმუშავა ფოთის გადამტვირთავ მუშების შრომის ჯილდოს რაოდენობა.

შეშა მუშებისათვის.

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ აცნობა ქალაქთა კავშირის სატყეო განყოფილებას, რომ მუშების შეშის მხრივ უზრუნველ ყოფისათვის საჭიროა შეშა მოწოდებულ იქმნას შემდეგი წესით: სექტემბერში—600 კვ. საჟ., ოქტომბერში 700 კვ. საჟენი ნოემბერში 860 კვ. ს., დეკემბერში 430 კვ. ს.,, იანვარში 300 ფუთი და თებერვალში 230 ფუთი. მუშათა მაგიდა თანახმაა შეშის დასამუშავებლად საჭირო ავანსი გაიღოს.

ჭიათურის მუშები.

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ აცნობა ჭიათურის მუშათა მაგიდას, რომ ადგილობრივ მუშების სურსათის მხრივ დასაკმაყოფილებლად იქ გაგზავნილია საჭირო რაოდენობის ქერი და ხორბალი.

მუშათა დელეგაცია.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა მიმართა შრომის სამინისტროს რათა სამსახურიდან ადგილისა და ჯამაგირის შენახვით გაათავისუფლოს რუსეთში გასაგზავნი დელეგაციის შემდეგი წევრები; ს. ხვიჩია, (საქ. არტ. სამმართველო) გ. პაპუაშვილი, (ქუთაისის რკინის გზის მემანქანე) და ა. ტოროტაძე (სახალხო საქმის ასოთ ამწყობი).

რკინის გზაზე.

მატარებლების მიმოსვლა.

რკინის გზის ექსპლოატაციის ტეხნიკურ განყოფილების უფროსმა გამოიმუშავა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ახალი ფასები, რომელიც უნდა შემოიღონ სექტემბრის 1 რიცხვებიდან. წარსულ წლების მგზავრთ № 3 და 4 მატარებელი ივლიან ბათომამდე. პროექტის თანახმად მატარებელი № 3 ტფილისიდან გავა დილის 9 საათზე და ბათომს მივა საღამოს 11 საათზე მე-4 ნომერი მატარებელი ბათომიდან გამოვა დილის 6½ საათზე და ტფილისს მოვა საღამოს 10 საათზე. მე 7 და 8 ნომერი მატარებელი გავა არა ბათომისაკენ არამედ ფოთისაკენ.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა.

1) ველისციხიდან ლიხივსკის 2) დუშეთიდან აკოფოვს. 3) სალოღლიდან ბაზილევიჩს. 4) ქობულეთიდან ბეიერს. 5) ახალქალაქიდან ფურცელაძეს. 6) ყვარელიდან ბებრიშვილს. 7) ცემიდან პურადხანოვს. ფოთიდან კაციტაძეს. 9) მანგლისიდან ბეგლიაროვს. 10) ჯელალ ოღლიდან ერისთავს. 11) ბათუმიდან ქარცივაძეს. 12) ფოთიდან სკლიაროვს. 13) ქუთაისიდან ახალიას. 14) ახალსენაკიდან ბაყაშიძეს. 15) კამარლიუდან გამარიანც. 16) სოხუმიდან გალესაჩარს. 17) სიღნაღიდან ნიკოლაიშვილს. 18) ბათომიდან სალამატინს 19) ალექსანდროპოლიდან ბეგლიაროვებს 20) სოხუმიდან ანჩებაძეს. 21) სანაინიდან ტერმინასიანცს. 22) ალექსანდროპოლიდან დემიტროვისას. 23) ყარსიდან ავანესიანს. 24) ყარსიდან მიხაილოვისას. 25) ბათომიდან ტოიძეს. 26) ეჩმიაძინიდან სუბატიანს. 27) ბათომიდან კობიევს. 28) ქუთაისიდან ღამბაშიძეს. 29) მერდენუკიდან ტერგასპარიანს. 30) არდაგანიდან ანჯაფარიძეს. 31) სუმბათოვოდან კაციტაძეს 32) კასპიდან ტიტველაშვილს 33) ბათომიდან თუთუნჯანს. 34) ჭობულეთიდან ცაგარელს. 35) გელათიდან ჩარკვიანს 36) საჩხერიდან იაშვილისას. 37) ქარელიდან დეკანოზიშვილს. 38) ფოთიდან დუგლაძეს. 39) გაგრიდან კორძახიას. 50) ზესტაფონიდან ბედიას. 41) სოხუმიდან კოლმანოვს პოლიაკოვს. 42) ბათომიდან დაბავიანს.

წესდება

იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკისა.

„ვამტკიცებ 12/VIII, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტროის ვალდებულების აღმასრულებელი

ს. ავლიანი“.

დედანთან სწორია საკრედნაწილის საქმის მწარმოებელი ვ. ცეხანოვსკისა.

მთავრობის წინაშე წარდგენილი 10 ივლისს, 1919 წ.

თავი 2.

გამგეობა და გამგე-დირექტორი.

§ 23. საზოგადოების საქმეებს განაგებს გამგეობა, რომელშიაც შვიდი წევრია, საზოგადო კრების მიერ არჩეული.

გამგეობის წევრნი რჩებიან თავ-თავიანთ თანამდებობაზედ დღიდან მათის არჩევისა მეორე მორიგ ჩვეულებრივ საზოგადო კრებამდე. იმათი გადაყენება, მათ მაგიერ სხვების არჩევა, ხელ-მეორედ არჩევა და დათხოვნა დასასვენებლად ანუ თავიანთ საქმეთათვის უნდა გადაწყდეს სავაჭრო კოდექსის 124, 125 მ. მ. ძალით მხოლოდ შემდეგის ცვლილებითა: თუ ვინმე მათ შორის წასულია და სამსახურში არ დადის, მის მაგიერ სხვის ჩაყენება სავალდებულო არ არის, ვიდრე არჩეულ წევრთა ⅔ თანამდებობაზედ იმყოფება.

ვინიცობაა, რაიმე მიზეზით, გამგეობაში დარჩა აქციების პატრონთაგან არჩეულ წევრთა ნახევარზედ ნაკლები, ხელმოკლე ხანში საზოგადო კრება უნდა დაინიშნოს, რათა წასულთა მაგიერნი იქნენ არჩეულნი.

ჯერით თანამდებობისათვის თავის დანებება, ვიდრე საარჩევნო უფროსობით არ იქნება დაწესებული, წილის ყრით უნდა გადასწყდეს ხოლმე.

ჯერითა და რიგით გასულნი წევრნი გამგეობისა ყოველთვის შეიძლება კვლავ იყვნენ არჩეულნი.

§ 24. თითოეული წევრი გამგეობისა, ვიდრე თანამდებობის აღსრულებას შეუდგებოდეს, მოვალეა უზრუნველ-საყოფელი თანხა წარადგინოს და შეიტანოს ბანკის კასაში 50 (ორმოცდა ათი) აქცია, ღირებული 50.000 (ორმოცდა ათი ათას) ლირად. კასაში შეტანილი აქციები უნდა გადაკეთდეს სახელდებულ მოწმობად და შიგ აღინიშნოს, რომ გირაოს პირობით არის შეტანილი.

უზრუნველ-საყოფელი თანხა შეიძლება განთავისუფლებულ იქნას და დაუბრუნდეს პატრონს არა უადრეს სამის თვისა დაწყებუ-

ლი იმ დღიდან, როცა განცხადების საბით დაიბეჭდება უკანასკნელი ბალანსი იმ წლიური ანგარიშისა, როცა წევრი გამგეობისა თავის თანამდებობას აღსრულებდა.

§ 25. პირველსავე კრებაზედ, რომელიც შესდგება საზოგადო კრების შემდეგ, გამგეობა ირჩევს პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს, ერთს მის ამხანაგს და ერთს მდივანს, რომელნიც წლის განმავლობაში თავიანთ თანამდებობაზედ რჩებიან და რომელნიც შესაძლოა ხელმეორედაც იქნენ არჩეულნი.

მდივნად ისეთიც შეიძლება დაინიშნოს, რომელიც გამგეობაში არ ირიცხება. თუ თავმჯდომარე წასულია სადმე, ან არ შეუძლიან გამგეობის კრებას დაესწროს, მის მაგიერ მისი ამხანაგი თავმჯდომარეობს, ხოლო თუ არც ის არის, ან იმასაც არ შეუძლიან დაესწროს,—თავმჯდომარეობს ხმით უფროსი დამსწრეთა შორის.

§ 26. გამგეობა იქ ჰმართავს კრებას, საცა დანიშნულია საზოგადოების არსებობა, ან სხვა, უწყებაში აღნიშნულს ადგილას, ჩვეულებრივ სამს თვეში ერთხელ, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, იმდენჯერ, რამდენჯერაც პრეზიდიუმი დაინახავს საჭიროდ, ან რამდენჯერაც ხუთი წევრი, ან საревიზიო კომისია, ანუ დასასრულ, გამგე-დირექტორი მოითხოვს.

მოწოდება გამგეობისა კრების გასამართავად სწარმოებს მის მიერ და შეიძლება საჭიროდ იქნას კრება მოწოდებული დეპეშების დაგზავნით, მხოლოდ დეპეშები უნდა დაიგზავნოს ოთხის დღით ადრე კრებამდე. უკიდურეს შემთხვევაში. როცა საჭიროება დამოწმებულია, თავმჯდომარე ანუ მისი მაგიერი, კრების გაუმართველად, მიჰმართავს წევრთ გადასწყვიტონ ესა თუ ის საგანი ქეეჩის ყრით, რომელიც წერილების ანუ დეპეშის გამოგზავნით მოჰხდება.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონიერად არ ჩაითვლება, თუ იგი გამგეობის წევრთა რიცხვის ორი მესამედით მაინც არ იქნება მოწოდებული.

უკანასკნელ აბზაცის ძალით (მუხ. 184 სავაჭრო კოდექსისა), გამგეობის თითოეულ კრების ამბავი სარევიზიო კომისიას უნდა ეუწყოს.

§ 27. რათა კანონიერი იყოს გადაწყვეტილება გამგეობისა, საჭიროა კრებას დაესწროს და საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს ამ თანამდებობაზედ მყოფ წევრთა უმრავლესობამ.

გამგეობა დამსწრეთა ხმის უმეტესობით აგენს თავის გადაწყვეტილებას, ხოლო თუ ხმათა რიცხვი თანასწორად გაიყო, იმ აზრს ეძლევა უპირატესობა, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრობა.

დადგენილებანი ჰსწყდება დაუფარავად ხმის მოკრეფით, თუ დამსწრე წევრთა ერთმა მესამედმა ფარული კენჭის-ყრა არ მოითხოვა.

გარდა იმ არჩევანისა, რომელიც ერთხმად და ერთ სულოვნობით იქნება გამოცხადებული, კენჭის ყრა თანამდებობის კაცთა არჩევნისათვის ფარული ბარათების წარდგენით უნდა სწარმოებდეს.

§ 28. საზოგადოების ჩვეულებრივსა და არა-ჩვეულებრივს მართვის საქმეში გამგეობას მინიჭებული აქვს ყოვლად ფართო რწმუნებულება და მხოლოდ ის საქმენი არ ექვემდებარება მის გართვას, რაც საზოგადო კრების უფლებაა განსაკუთრების.

განცალკევებით გამგეობას მოჰყავს აღსრულებაში კრების გადაწყვეტილებანი და გამოაქვს დადგენილებანი:

ა) ბალანსებისა და დივიდენდებისათვის, რომელიც კრებას უნდა წარედგიონოს დასამტკიცებლად;

ბ) დაწესდეს თუ გაუქმდეს ესა თუ ის კონტორა, განყოფილება, სააგენტო, ფულის გასაცემ-მისაღები ადგილი და წარმომადგენლობა იტალიაში და საზღვარ-გარედ;

გ) მოითხოვოს ფულის შემოტანა აქციების გამოსასყიდათ;

დ) შეადგინოს ინსტრუქცია ბანკის შინაგან წესრიგისათვის;

ე) შეიძინოს ფასიანი ქაღალდები. თუნდაც მით, რომ გადასცვალოს იგინი იმ აქციებზედ, რომელიც საზოგადო კრების დადგენილებით ახალად არის გამოსაცემი; მიიღოს თუ არა მონაწილეობა სინდიკატებში; მიიღოს თუ არა მონაწილეობა თვისის თანხებით ნდობაზედ დამყარებულ ამხანაგობაში;

ვ) საფინანსო და სხვაგვარ ოპერაციებისათვის;

ზ) კრედიტების მიკუთვნისათვის;

თ) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისათვის; უძრავ ქონებათა და ნივთობრივ უფლებათა გადაცვლისათვი, თუნდაც საჭირო იყოს დამტკიცების ხარჯის დაკარგვა;

ი) ყოველგვარ საგირავნო ოპერაციისათვის, ან ისეთის ოპერაციისთვის, რომელიც ნივთით უზრუნველყოფას შეეხება; გირავნობის წერილობისათვის; ერთის გიროს მეორით შეცვლისათვის; როცა სხვას უნდა დაეთმოს რამ უფლება, შეუმცირდეს გადასახადი უარი ითქვას რამეზედ და ეს ასანუსხი იყოს, ქაღალდზედ მოსახსენებელი; ყოველ ამის შესახებ მოწმობათათვის, აღნიშვნისათვის, გამონაკლისისათვის; გიროს გაცემისათვის, გიროს მიცემის უარისათვის, გიროს უკან დაბრუნებისათვის ისე, რომ ამით არ დამცირდეს გამგე-დირექტორისა, ანუ მთავარ-გამგებლის განსაკუთრებულნი უფლებანი, განსაზღვრული ქვემორე მოყვანილ 35 მუხლითა.

კ) ყოველგვარ მოქმედებისა და ოპერაციისათვის, რაც-კი შეეხება საემისიო ბანკებს, ბანკებს და საზოგადოებრივსა და კერძო ადმინისტრაციებს; იკისროს თუ არა მოვალეობა ხარჯთ-აკრებისა, საგუბერნიო, საქალაქო და საზოგადოებრივ და სახაზინო ოპერაციების წარმოებისა დაწესებულებათათვის ანუ მათთვის, ვინც იურიდიულს პირს წარმოადგენს:

ლ) დანიშვნა და გადაყენება, უფლებათა და ჯამაგირის განსაზღვრა გამგე დირექტორისა და მთავარ-მმართველისა, აგრეთვე სხვათაცა, ვისაც უნდა მიენდოს უფლება საზოგადოების მაგიერ ხელის მოწერისა იმ სამზღვართა და ვადათა შორის, რომელიც განსაზღვრულია ამ წესდებათა და საზოგადოდ, დანიშვნა, გადაყენება და დათხოვნა ყველა მოხელისა, აგრეთვე განსაზღვრა თითოეულის მათგანის მოვალეობისა, სასყიდლისა, მოწილეობისა და პასუხის გებისა.

მ) მიეცეს თუ არა ცალკე რწმუნებულება და ვექილობა ბანკისა უფლებებითურთ ხელი მოაწეროს ხოლმე გამგეობის ერთისა ან ორის წევრის მაგიერ ბანკის ამა თუ იმ მოხელეს, აგრეთვე გარეშესაც და თან რომელ ცალკე საქმეში, ანუ საქმეთა და ოქმების რომელ კატეგორიაში.

§ 29. განაჩენები გამგეობის კრებისა ჩაწერილი უნდა იყოს დავთარში, სავაჭრო კოდექსის 140 მუხ. თანახმად და ხელმოწერილი იმის მიერ, ვინც თავმჯდომარეობდა, ან მდივნის მიერ

გადაწყვეტილებათა ამონაწერი, შემოწმებული თავმჯდომარის მიერ, ხოლო როცა ის წასულია სადმე, ან არ შეუძლიან ეს მოახერხოს, კრებაზედ დამსწრე თავმჯდომარის ამხანაგის, ანუ გამგე-დირექტორის მიერ საბუთია სასამართლოში და სათანადო დაწესებულებაში.

§ 30. ყოველ წლივ გამგეობა ჰნიშნავს აღმასრულებელ კომიტეტს; კომიტეტში ინიშნებიან: თავმჯდომარე, გამგე-დირექტორი და ერთი წევრი გამგეობისა. ამ კომიტეტს შეიძლება გადაეცეს ის უფლებანი, რომელიც გამგეობას ეკუთვნის.

კომიტეტის წევრთ სასყიდელს საზოგადო კრება უნიშნავს. გამგეობას შეუძლიან აგრეთვე მიმდინარე საქმეთა მართვა გადასცეს ერთ-ერთს თავის წევრს, რომელიც გამგე-დირექტორის წოდებით იმოქმედებს; გამგეობამ უნდა განსაზღვროს, რა უფლებანი უნდა მიენიჭოს გამგე-დირექტორს, რა პირობით უნდა იმუშაოს და რა სასყიდელი დაენიშნოს; გამგეობას შეუძლიან სასყიდელი იმ სახით დაუნიშნოს, რომ მოწილე გაჰხადოს მოგებაში.

გამგეობას შეუძლიან აგრეთვე აღჭურვოს განსაკუთრებულ უფლებით და მინდობილობით ერთ-ერთი ან რამდენიმე თვისი წევრი და დააწესოს მათთვის რაოდენობა სასყიდლისა.

§ 31. წარმომადგენლობა სასამართლოში, საადმინისტრაციო დაწესებულებაში, აგრეთვე დავასა და ჩივილში ეკუთვნის ან ერთად ანუ ცალკ-ცალკე გამგეობის თავმჯდომარეს და გამგე-დირექტორს, ანუ მთავარს გამგებელს; საჭირო არ არის ამისათვის ცალკე ნებართვის მიღება, რადგან თვით წესდებით არიან ასეთის უფლებით აღჭურვილნი და შეუძლიანთ, ცალკე-ცალკეც იმოქმედონ; საჩივარიც დაიწყონ, პასუხიც აგონ სასამართლოსა და ადმინისტრაციის ყველა ინსტანციაში, საკასაციო და სარევიზიოშიც-კი აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს მე-IV და V განყოფილების წინაშეცა; შეუძლიანთ დაჰნიშნონ ამ საქმეთათვის რწმუნებულნი ვექილნი და მისცენ ბარათის სახელით ვექილობანი.

§ 31 (ბის.) გასამრჯელოდ გამგეობას ეძლევა ის ნაწილი მოგებისა, რომელიც განსაზღვრულია, თანახმად 45 მუხლისა და წლიური გადაწყვეტილი ჯამაგირი, რომელიც საზოგადოთ უნდა უდრიდეს 70 ათას ლირას (სამოცდა ათი ათასი). ყოველ-წლივ გამგეობა ანაწილებს მოგებასა და გადაწყვეტილს საჯამაგიროს თავის წევრთა შორის. ამას გარდა, გამგეობის წევრთ უფლება აქვთ, დაიბრუნონ, თუ რამ დაუხარჯავთ ბანკის საქმეზედ.

§ 32. გამგეობის წევრნი პირადად პასუხის მგებელნი არიან საზოგადოების ვალდებულებათათვის. თუ საჭირო იქნება წევრთა პასუხის-გებაში მიცემა კანონისა და წესდების დარღვევისათვის ანუ თვისთა უფლებათა გადალახვისათვის, ეგ განსაკუთრებით და მხოლოდ აქციების პატრონთა საზოგადო კრებამ უნდა გაარკვიოს.

§ 33. მართვა საზოგადოების მიმდინარე საქმეთა და აღსრულება გამგეობისა და გამგე კომიტეტის გადაწყვეტილებისა დირექტორს-გამგეს ევალება ანუ მთავარს მმართველს; ამავე მთავარ-მმართველის გამგებლობაში არიან მოხელენი, რომელთა საქმიანობის განსაზღვრა გამგეობა უნდა დააწესოს, მთავარი მმართველი, გამგეობის წევრად არჩეული, იმ ხანში რაცხანს დაჰყოფს ან თანამდებობაზე, ატარებს გამგე დირექტორის სახელს.

გამგეობაა მოვალე დაუნიშნოს გასამრჯელო გამგე-დირექტორს ანუ მთავარს მმართველს; მანვე უნდა განსაზღვროს წილი, რომელიც უნდა დაედოს მოგებიდან.

§ 34. ამ წესდებიდან, გამგეობის გადაწყვეტილებათაგანა და შინაგან წეს-რიგის დადგენილებათაგანა და თანამდებობაზედ მოწვევის ხელშეკრულებათაგან გამომდინარეობს, რა აქვს დავალებული, რა მოვალეობა აწევს, რა უფლება აქვს და რა ხასიათისა უნდა იყოს მთლად მოქმედება და საქმიანობა გამგე-დირექტორისა და მთავრის მმართველისა.

§ 35. გამგე დირექტორსა და მთავარს მმართველს განსაკუთრებულ დავალების გარეშეც შეუძლიანთ თვით გადასწყვიტონ ახსნა ყადაღისა, დაბრუნება გიროსი და ერთის მაგიერ მეორეს დააკისროს შესაბამი ბუღდავნობა, როცა ვალი ბანკისა, უზრუნველყოფილი გიროთი, სრულიად გასტუმრებულია იმ დრომდე ანუ იმ დროს, როცა ამ საგანს გადასწყვეტენ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაიკარგა მოწმობა № 552 დავით ფიშკისის სახელზე, მიღებული ნოვოროსისკის მილიციის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2362 3—2

დაიკარგა ოჯახის მარჩენლობის მოწმობა № 11 ლუკა ალექსანდრის ძე შველიძის სახელზე მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2345 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანდრია ზაქარიას ძე ასლამამაზაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. მარტის 17-ს რეესტრით 495. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2359 3—3

დაიკარგა სოხუმის ორ წლიანი პედაგოგიური კურსების დამთავრების და მასწავლებლის წოდების მოწმობა, ვარლამ კონსტანტინეს ძე გეგეჭკორის სახელზე, მიღებული სოხუმის ოლქის ინსპექციის მეთვალყურისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2339 3—3

დაიკარგა პასპორტი და სათადარიგო ჯარის კაცობის მოწმობა ერასტი სპირიდონის ძე სხირტლაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2370 3—2

დაიკარგა სარევისტრაციო ბარათი გრიგოლ ივანეს ძე გრიგოლაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2367 3—2

დაიკარგა პასპორტი № 850 ალექსანდრე დიმიტრის ძე თუხარელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2352 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა შტ. კაპ. ვახტანგ რაუდენის ძე მაღალაშვილის სახელზე, მიღებული კავკასიის მესამე სანაპირო პოლკიდან. და სხვა საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2355 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 987 რკინის გზის სტამბის ლიტოგრაფიიდან მიღებული, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების და სრულიად თავისუფლების მოწმობები, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მიხეილის ძე დანდუროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2347 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან და სხვა საჭირო საბუთები სერგეი მოსეს ძე კარაპეტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2346 3—3

დაიკარგა პასპორტი კოლა ანდრიას ძე კობახიძის სახელზე, მიღებული ს. ნიფარწმიდის (რაჭის მაზრა) თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2350 3—3

დაიკარგა მოწმობა № 402 სერგო ალექსანდრეს ძე ალიხანოვის სახელზე, მიღებული ქ. მოსკოვის კომისრისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2351 3—3

დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწერილობის ბარათი დავით ივანეს ძე ყიასოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2387 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი მდებარე სახელბალაქარის შესახვევში № 6. მარიამ აფანასეს ასულ ვართანიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2378 3—1

დაიკარგა სამსახურის მოწმობა სურათით უფ. მილიციონერის მიხეილ მინას ძნ გამცემულიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2379 3—1

დაიკარგა ატესტატი № 1345 ტფილისის მე 6 გიმნ. 8 კლ. დამთავრების, ივანე დიმიტრის ძე ლაზარიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2381 3—1

შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ დაკარგულია ტფილისის ხაზინაზე ასიგნობა 1920 წ. ივნისის 27 თარიღით № 4586 მ. სოხაძის სახელზე 6.900 მან. ასიგნობა ითვლება გაუქმებულად. 850 3—1

დაიკარგა ტფილისის ქალაქის თვითმმართ. მიღებული საპენსიო წიგნაკი № 4. კაპიტ. ივანე თოხაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2375 3—1

დაიკარგა ტრამვაის უსახელო ბილეთი 612 გაცემული ტფილისის თვითმმართველობის საბინაო განყოფილების სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2374 3—1

განცხადება.

ტფილისის გუბერნიის პირველი რაიონის ტყის რევიზორი ამით აცხადებს,

რომ 27 ენკენისთვეს 1920 წ. დღის 12 საათ. ქ. ტფილისის სამაზრო ბინაზე შესდგება საჯარო ვაჭრობა, გაუმეორებლად, დაბეჭდილი განცხადების დაშვებით, გასაყიდათ დანომრილი წიფლისა ხეებისა სატკეჩოთ (კლეპკა), თელავის სატყეო გამგეობის რაიონში: 1) უბ. „ნაქარალში“ კისისხევის დაბაში №№-ით 1—500=710889 მანეთად და 2) უბ. „ნაქალაქარში“ ვარდისუბნის დაბაში №№-ით 1—1500=1517034 მან. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ტყის რევიზორთან ქ. ტფილისში. 851 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.